საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ზურაბ გურასპაშვილი

# ბიულეტენი

| |
|---|
| კენჭისყრა - 09.07.2025 |
| თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ლევან ნემსაძის კანდიდატურა? |
| (დიახ) არა |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ლევან ნემსაძის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

**9 ივლისი, 2025 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შესარჩევი კონკურსი, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა ლევან ნემსაძე.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი ლევან ნემსაძე შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4 (ოთხი) მახასიათებლის მიხედვით და, ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, მისი კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა, რომლის მიხედვითაც დადასტურებულად მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ლევან ნემსაძე ასევე შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით. კანდიდატ ლევან ნემსაძის თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, ჩემ მიერ მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 93 ქულა.

საბჭოს 2025 წლის 30 ივნისის №1/49 განკარგულებით აღნიშნული პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადავიდა - ლევან ნემსაძე.

ლევან ნემსაძის შეფასების შედეგების ანალიზისა და მასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება მხარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრობაზე ლევან ნემსაძის კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას. აღსანიშნავია, რომ ლევან ნემსაძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი მიიჩნევს, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1185 ქულა, რაც მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1300) 91,15 პროცენტია.

2025 წლის 9 ივლისს მითითებულ კანდიდატთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, მისი პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად. მივიღე გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს ლევან ნემსაძე, ვინაიდან შეფასებების შედეგების ანალიზისა და მასთან გასაუბრების საფუძველზე მივიჩნიე, რომ მას გააჩნია ყველა აუცილებელი პიროვნული და პროფესიული თვისება, რათა სრულფასოვნად განახორციელოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**
**ზურაბ გურასპაშვილი**